სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
15.09.2010 N 123
თბილისი

საგანმანათლებლო პროგრამების
დამთავრების შემდეგ დამატებითი
სემესტრების აღების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური აკადემიური საბჭოს 2010 წლის 14 სექტემბრის №302 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტის მიერ აღნიშნული პროგრამის დასასრულებლად დამატებითი სემესტრების აღების ან სპეციალობის შეცვლის თაობაზე განცხადების წარმოდგენის ვადა გაგრძელდეს 2010 წლის 17 სექტემბრამდე;
2. შიდა მობილობის პროცესში სპეციალობაზე კონკურსის არსებობისას კონკურსანტთა შერჩევა მოხდება სტუ-ს რექტორის 2010 წლის 27 ივლისის №101 ბრძანებით განსაზღვრული გამოცდის ან განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი წესით – ეროვნული გამოცდების შედეგების რანჟირებით.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი.ლომიძე);
4. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
ლ. კლიმიაშვილი
სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ბ. მაისურაძე